

## ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი

### ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 9 1 0

ქ. ბათუმი, 08 აგვისტო 2017 წ

ქალაქ ბათუმში, ზღვისპირა პარკის ტერიტორიაზე, 1521,00 კვმ მიწის ნაკვეთზე მდებარე 95,19 კვმ შენობა-ნაგებობაზე ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრების უფლების რეგისტრაციის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 106-ე მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

### ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :

1. უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრში ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრების უფლებით დარეგისტრირდეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ქ. ბათუმში, ზღვისპირა პარკის ტერიტორიაზე მდებარე 1521,00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: 05.21.20.034) აშენებული 95,19 კვ.მ. შენობა-ნაგებობა (არასაცხოვრებელი).

2. ეთხოვოს სსიპ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს საჯარო რეესტრში ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრების უფლებით დაარეგისტროს წინამდებარე ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული უძრავი ქონება (შენობა-ნაგებობა).

3. ბრძანების შესრულება დაევალოს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და ეკონომიკური პოლიტიკის სამსახურს (ე. ლომაძე).

4. წინამდებარე ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული უძრავი ქონების საჯარო რეესტრში ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრების უფლებით რეგისტრაციის მიზნით, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის სახელით შესაბამის დოკუმენტაციაზე ხელმოწერის უფლებამოსილება მიენიჭოს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და ეკონომიკური პოლიტიკის სამსახურის ქონების მართვისა და განკარგვის განყოფილების მესამე კატეგორიის უფროს სპეციალისტს ხათუნა კობალაძეს (პირადი ნომერი: 61001010495).

5. წინამდებარე ბრძანება გამოქვეყნდეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ინტერნეტგვერდზე.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ინტერნეტგვერდზე გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.

7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

გიორგი ერმაკოვი

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი